ᲕᲘᲠᲐ, 1918 წ. ᲗᲘᲒᲐᲗᲕᲘᲡ 30 № 126

ᲤᲣᲚᲘᲤᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲗᲔ

ᲕᲘᲠᲐ, 1919 წ. ᲗᲘᲒᲐᲗᲕᲘᲡ 30 № 126

ᲤᲐᲡᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ 30 ᲙᲐ�პ. ᲠᲐ. ᲒᲐᲖᲘᲡᲬᲘᲚᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲗ

საქართველო

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ცხი ფანურად. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. შეძრწყილი გარეგანი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და ხელოვნური ავტორი მიწერ-მოწერის მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დაა დღის 9—8 საათამდის, გარდა უქმე დღისა. ხარდაჭილი საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐ

პირველ აპრილიდან ხელის მაწერა ღირდება ერთ თვეზე და ექვსზე—18 მ. თვეში (ერთად ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ ჯერზე 50 კაპ. ოთხჯერზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მცხოვრებთა ფასი ორჯერ მეტი. ხანგრძლივი განცხადება თითოჯერ ზომით: 20×2=15 მანეთი, 30×2=20 მანეთი. მარტივად გამოცემა ერთს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სარეკლამო განცხადებანი უნდა მოგვანილ იქნას არა ოვალიანს 1½ სანი თითა კონტორაში. კონტორა დაა ღიაა 9 საათიდან 8 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ: Тифлисъ. Сакартвело.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲘᲡᲐ **15—73**

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ:

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი II მიიცვალა.—დუშეთის მაზრაში აჯანყება ჩააქრეს: მათი სარდალი პორუჩიკი ხაჩატუროვი დაჭირეს და თბილისში ჩამოიყვანეს.—ოსები კვლავ აღდგნენ: საჩხერისკენ გამოემართნენ და ჭიათურას ემუქრებიან. —სოხუმით გადმოსული ოსმალთა დესანტი გენ. მაზნიაშვილმა სასტიკად დაამარცხა. მისმავე ჯარმა დაამარცხა ბოლშევიკები: გუდაუთი და გაგრა აღებულია.

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა თიბათვის 26—27-ს მამა ანტონ მარტოყოფის მონასტერში დვთით მიიცვალა, უწმიდესი და უნეტარესი

ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲖ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ.

ᲙᲘᲠᲘᲝᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე კათოლიკოზის კარის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(1—1)

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა ივნისის 26—27-ს მამა ანტონ მარტოყოფის მონასტერში დვთით მიიცვალა უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოისა

ᲙᲘᲠᲘᲝᲜ ᲛᲔ-II

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე კათოლიკოზის კარის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲚᲙᲕᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲜᲓᲐᲜᲢᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲚᲐ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ,

ᲫᲔᲠᲘ, ᲨᲕᲠᲘᲐ, ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲕᲐ.

ზემო ჩამოთვლილი სურსათი ნიშნდება საინტენდანტო სასურსათო საწყობებში და რკინის გზის სადგურებზედ და ახალაზინო ტომრებით, მსურველთა უნდა შემოიტანონ საინტენდანტო ნაწილში განცხადება, სადაც დასახელებული უნდა იყოს რაოდენობა და ფასი სურსათისა, აგრეთვე ადგილი, სადაც ჩაბარებენ სურსათსა. მისამართი, ნიკოლოზის ქუჩა № 51 3—1

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲘ

ჩვენს პრესას დასჩემდა ყველა ის უმგვანი და უბადრუკი საშუალება ბრძოლისა, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო პარტიის სულიერ ავადმყოფობას. სიყალბე და სიცრუე—ეს ერთად ერთი იარაღია იქ, საცა საბუთი და სინამდვილე ხელოვნად მეორის მხარეზეა. ეი მაგალითებიც.

„ერთობა“ ეკამათება „ვოზროჟდენიეს“ და იმეორებს იმ ჭკვიანურ ცილისწამებას, რომ „რადგან ეროვნულ დემოკრატებს ხალხი არ მისდევს, ისინი ცდილობენ, რაც სამარცხვინოა, დაიმყარონ გარეშე ძალის“—ამ ჟორმა მოსკ მა თავისი დრო, მაგრამ მაინც დეპავს ამ სიცრუეს „ერთობა“, რადგან იმის ნიშნიც არა აქვს, რომ პროლეტარობა თუ იკისრა,—ახალი რამ მოიგონოს. „ერთობა“ და მისი მიმდევარი „ხალხი“ ისე დაუნებით გვარეკებენ „გარეშე ძალასთან“, რომ ყველას ეკვი ეპარება—უთუოდ ეს მათი გარდუვალი სურვილია, რომ თავი დაბეწონ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ჩაცვივდნენ.

—

იგივე „ერთობა“ სწერს: „რუსულ „ვოზროჟდენიეს“ მისი ქართული ტყუპი „საქართველოც“ არ ეთანხმება საფრთხის შესახებაო.

არ ეთანხმება ალბად იმიტომ რომ ტყუპი არ არის, თორემ განა „ბორბა“ და „ერთობა“ ერთსა და იმავე სიცრუეს არ აერცელებენ ხოლმე—რაკი ერთი ჯამიდან გამომდინარეობენ?

თურმე ეროვნულმა დემოკრატიამ მტრული განწყობილება გამოიჩინა ხალხის წარმომადგენელების მიმართ და ერთი მეტი მემამულეების გულისათვის დემოკრატიულ მთავრობაში მუშობა არ ინდომაო. ამაზედ შორს ვერ წავა უტიფრობა: ჩვენ შევიტანეთ რეზოლიუცია პარიტეტისა, ე. ი. თანაბარი მუშაობისა და გამარჯვებულ სოციალისტებმა ეს არ ისურვეს. კარგი შეთანხმება იქნებოდა, თუ ჩვენ ყურმოპრილ ყმებსავით მათს ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკას გავიზიარებდით, რომლის შედეგებსაც ხედავს დღეს ხალხი.

—

მაგრამ ყველაზედ საბრალო ის პოზიცია არის, რომელიც უპირავს „სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო (?)პარტიას“. ეს ქარის ამყოლი ხალხი, რომელიც ვოლ ონცოვის კანონპროექტებს უკმეოდა გუნდრუკს და შემდეგ „გზა და გზა სოციალურ რევოლუციას ახდენდა“, ეი ეს პარტია გვისაყვედურებს ჩვენ მონობას და დაქირობას(?).

„ეს გუშინდელი მონები, რომელთაც პოლიტიკური დაქირობა ხელობად გეეხადნათ, დღეს ხმა მაღლა გველაპარაკებიან“-ო. ჯერ ერთი სცდებით, ბატონებო, რომ ითვისებთ ჩვენს ნაადაპარაკევს, თუნდაც ხმა მაღალს, რადგან ველაპარაკებით სოციალ-დემოკრატიას და არა თქვენისთანა მართლაც და ლაქიებს, რომელთა ყიდვა შეიძლება სამინისტრო პორტფელებით და არა ქვეყნის ინტერესებით. და მეორეც ხმა მაღალი ლაპარაკი ჩვენ ყოველთვის გვქონდა ჩვეულებად, როცა სამშობლოს ინტერესებს თქვენისთანა ქვეშრომლები ჰყიდდენ—რატომ დაგავიწყდათ? წაიკითხეთ თუ გდალატობთ, მოიგონეთ „ხიზანთა საკითხი“, რომელმაც მოგიბზადათ ეხლა ოსეთის საკითხი, მოიგონეთ „რეალური მოსახლეობა“, მოიგონეთ კიდევ ბევრი რამ თქვენი წაჯე-უკუჯექობიდან და იქნება შეგრცხვეთ თქვენი სიტყვებისა; მაგრამ არა, თქვენ დღესაც ერთგულად იმეორებთ და ადიდებთ კიდეც სოციალ-დემოკრატების სიტყვებს, რადგან დღეს არის ხელსაყრელი: „ისე გაისჯე, რომ ყოველთვის რამე გამორჩენა გქონდეს“—სამინისტრო თუ არა, ეგების გუბერნატორობა მაინც გერგოთ სადმე, ამაში ჩვენ ვერ შევდრებით, თასაკვირველია.

მაგრამ ჩვენ არ გვაკვირვებს ჩვენს წინაპრებად დარაზმულ სოციალისტების ზნე და ჩვეულება თავის მოწინააღმდეგის დაფასებაში. ეს მათი ბუნებაა. ერთმანეთსაც ხშირად კიდევ უფრო ტკბილად უმასპინძლდებიან და ეს მათ ჰგონია პოლიტიკურ მოღვაწეობა და „პარევოლიუციო“ მოქმედებად. სანიმუშოდ მოვიყვანთ სოციალისტ-ფედერალისტების დახასიათებას მათ მახლობელ პარტიის—სოციალისტ-რევოლუციონერების მიერ, რომელიც მეთაურად არის მოთავსებული მათს ახლად გამოსულ ქართულს გაზეთში:

„მენშევიკებს ბასა აძლევენ მათი უმცროსი ძმანი, ფედერალისტებიც: ქართველ შავრაზმელთა, პროვოკატორთა, გაკოტრებულ თავად-აზნაურობის ჩუმი მოტრფიალეთა და გამილახორის აგენტების ბუდე,—ფედერალისტთა პარტია, ლაგამოდებული რევოლიუციის ბრწყინვალე დღეებში, დღეს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვების წყალობით, ზედა პირზე ამოცოცდა და შავრაზმელებს მოუწოდებს სოციალისტების გასაჟღეტად. „სახალხო საქმის“ ჭოტნი, დროებით სიბნელით გახარებულნი, შხამს ანთხევენ სოციალისტებს და თავიანთი ბილწი ბრქყალებით დემოკრატიას ეპოტინებიან.

ყოველთვის მხდალნი, დღეს კი რეაქციის იმედებით გალადებულნი და გაგულადებულნი ფედერალისტნი, იმდენად გაუტიფრდენ, რომ სოციალისტებს ტალახსაც კი ესვრიან; მშრომელმა ხალხმა კარგად იცის მათი მოდალატური მოქმედების ფასი, და აკი ისინიც, მზის სინათლეზე გამოსვლას ვერა ბედავდენ აქამდის, ეხლა ფრთები შეისხეს და ქვეყნის მესვეურობას ჩემობენ!“

† ᲙᲘᲠᲘᲝᲜᲘ

ივნისის 26-ს, სოფ. მარტყოფში ტრადიციულად გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ყოველად სამდვდელო ეპისკოპოსი კირიონი.

კირიონი (ერის კაცობაში გიორგი სალაგლიშვილი) შვილი იყო დეკანოზ იერონიმე სალაგლიშვილისა; დაიბადა 1855 წლის ნოემბრის 10-ს. საშუალო განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დასრულების შემდეგ 1876 წელს სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში. აკადემია მან დაამთავრა 1880 წელს ღვთის მეტყველების კანდიდატის ხარისხით. იმავე წელს ის დანიშნეს ოდესის სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წელს სამშობლოში დაბრუნდა და თელავის სასულიერო სემინარიაში დანიშნეს. შემდეგ მსახურობდა გორისა და ქუთაისის სასწავლებლებში და ტფილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში.

ცოლშვილის სიკვდილის შემდეგ, 1896 წელს ადიკვეცა ბერად და ჩაიბარა ქვაბთაბანის მონასტრის წინამძღვრობა და ორი წლის შემდეგ ეპისკოპოსად ნაკურთხი ალავერდის კათედრას იბარებს. 1901 წელს კირიონი გორის ეპისკოპოსად დანიშნეს.

1901 წლიდან ვიდრე 1915 წლამდე მისი უწმინდესობა მუდმივს, არაჩვეულებრივს დევნას განიცდის რუსის მთავრობისაგან. 1908 წლამდე ის რუსეთის ხან ერთს და ხან მეორე ეპარქიაშია, ხოლო 1908 წლიდან 1915 წლამდე უდაბნოებში რუსის ეკლესიის ზედამხედველობით.

1915 წელს კირიონს უფლება უბრუნდება და ის კვლავ იბარებს ეპარქიებს რუსეთის შიდა გუბერნიებში. უკანასკნელად ის მსახურობდა ვიტებსკის ეპარქიაში.

1917 წლის მარტში მისი უწმინდესობა ბრუნდება სამშობლოში და ჩქიდებს მონაწილეობას საქართველოს აღდგენილ ეკლესიის საქმეებში.

1917 წლის სექტემბრის 17-ს, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე ეპისკოპოსი კირიონი არჩეულ იქმნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად და ოქტომბრის პირველს ის აკურთხეს მცხეთაში, სვეტი-ცხოველის ტაძარში.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ოთხთა კავშირის წარმომადგენელნი, რომელნიც კონსტანტინოპოლის საზეგო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაა აქვთ დაკისრებული თავიანთ მთავრობის მიერ, ამ ჟამად თბილისში იმყოფებიან. კონსტანტინეპოლში გამგზავრების წინ ოთხთა კავშირის წარმომადგენელნი საქართველოს ესტუმრნენ, რათა ადგილობრივ გასცნობოდნენ ახლად აღდგენილ საეკლესიო მდგომარეობას.

სამწუხაროდ ჩვენი ახალი მოკავშირეების საქართველოში ჩამოსვლა მის გასაცნობად ჰხდება ისეთს დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა უმაგალითო პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. დუშეთის აჯანყება, ლეჩხუმის ანარქია, გორის ამბები,—ყოველივე ეს ნათლად აჩვენებს იმ სახიფათო დაბრკოლებებს, რომელნიც უნდა გადალახოს ახლად აღდგენილმა სახელმწიფომ. საჭიროა ამ ამბების საფუძვლიანი გაცნობა და გაკვლევა, რომ მას შემცდარი და გადაჭარბებული გაშუქება არ მიეცეს. ჩვენ ვშიშობთ, რომ ჩვენი მოკავშირეთა წარმომადგენელები ამ მოკლე ხანში ვერ შეძლებდნენ ჩვენი პოლიტიკური ვითარების საფუძლიანად გაცნობას. და ვშიშობთ, რომ ამ თავისი შეხედულება შესახებ იმისა, თუ როგორი პირობები მოეპოვება საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების დასამყარებლად, არ შეიტუშაონ იმის და მიხედვით, თუ რას განიცდის ამ ჟამად ჩვენი საშობლო.

საქართველო დღეს პოლიტიკურად თავისუფალია და ისიც იწყებს თავისუფალ პოლიტიკურ ცხოვრებას. მაგრამ განსაკუთრებული დაბრკოლებები ხვდება წინ ახლად აღდგენილ სახელმწიფოს განვითარებას. რუსეთის ძველი მონობის და ახალი რევოლიუციონური ნგრევის ნაშთები ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს ნორჩ პოლიტიკურს ცხოვრებას. საქართველომ ჯერ ვერ შესძლო ამ მძიმე მემკვიდრეობისაგან საესებით განთავისუფლება. იგი ჯერ კიდევ ვერ სდგას მტკიცედ საკუთარს ფეხებზე, ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ყველა თავისი სახელმწიფოებრივი ძალების შემოკრება და ამოძრავება. საქართველო ჯერ კიდევ დაქსაქსულია, გათიშული იმ უდიდესი საზოგადოებრივი ცვლილებების შემდგომ, რომელნიც მან განიცადა ამ საშინელი ომისა და რევოლიუციის დროს. მაგრამ საქართველოს შესწევს საკუთარი სახელმწიფოებრივი არსებობა. ამის მოწმეა მრავალ საუკუნოვანი მისი წარსული და ის სიმტკიცე, რომელსაც იჩენს ის დღესაც, ამ საშინელს პირობებში თავის არსებობის დასაცავად.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ძალების შეფასება დღევანდელი მისი მდგომარეობის მიხედვით არ შეიძლება. საქართველომ საშინელი სოციალური სენი გადაიტანა და გასაგებია, რომ ამის შემდგომ ის ასეთს უძლურებას განიცდის. თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში მას მრავალჯერ განუცდია კიდევ უფრო ძნელი და სახიფათო მდგომარეობა და ეს იმედს გვაძლევს, რომ ის დღევანდელს გასაჭირსაც დასძლევს და ნამდვილი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აშენებას შესძლებს.

ამ ეკლიანი გზით მსვლელობაში ჩვენი სამშობლო დიდს იმედებს ამყარებს თავის ახალს მოკავშირეებზე. გარეშე მათი დახმარებისა მას მრავალი სიძნელე გადადგლობება. გერმანიისა და მისი მოკავშირეების ფინანსიური და სამხედრო დახმარება და ხელმძღვანელობა, მათთან კულტურული კავშირის განმტკიცება და პოლიტიკური დაახლოვება უზრუნველყოფს საქართველოს თავისუფალ განვითარებას. ქართველი ერი ასეთს იმედებს ამყარებს თავის ახალს მოკავშირეებზე.

—

იგივე „ერთობა“ სწერს: „რუსულ „ვოზროჟდენიეს“ მისი ქართული ტყუპი „საქართველოც“ არ ეთანხმება საფრთხის შესახებაო.

არ ეთანხმება ალბად იმიტომ რომ ტყუპი არ არის, თორემ განა „ბორბა“ და „ერთობა“ ერთსა და იმავე სიცრუეს არ აერცელებენ ხოლმე—რაკი ერთი ჯამიდან გამომდინარეობენ?

თურმე ეროვნულმა დემოკრატიამ მტრული განწყობილება გამოიჩინა ხალხის წარმომადგენელების მიმართ და ერთი მეტი მემამულეების გულისათვის დემოკრატიულ მთავრობაში მუშობა არ ინდომაო. ამაზედ შორს ვერ წავა უტიფრობა: ჩვენ შევიტანეთ რეზოლიუცია პარიტეტისა, ე. ი. თანაბარი მუშაობისა და გამარჯვებულ სოციალისტებმა ეს არ ისურვეს. კარგი შეთანხმება იქნებოდა, თუ ჩვენ ყურმოპრილ ყმებსავით მათს ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკას გავიზიარებდით, რომლის შედეგებსაც ხედავს დღეს ხალხი.

—

მაგრამ ყველაზედ საბრალო ის პოზიცია არის, რომელიც უპირავს „სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო (?)პარტიას“. ეს ქარის ამყოლი ხალხი, რომელიც ვოლ ონცოვის კანონპროექტებს უკმეოდა გუნდრუკს და შემდეგ „გზა და გზა სოციალურ რევოლიუციას ახდენდა“, ეი ეს პარტია გვისაყვედურებს ჩვენ მონობას და დაქირობას(?).

„ეს გუშინდელი მონები, რომელთაც პოლიტიკური დაქირობა ხელობად გეეხადნათ, დღეს ხმა მაღლა გველაპარაკებიან“-ო. ჯერ ერთი სცდებით, ბატონებო, რომ ითვისებთ ჩვენს ნაადაპარაკევს, თუნდაც ხმა მაღალს, რადგან ველაპარაკებით სოციალ-დემოკრატიას და არა თქვენისთანა მართლაც და ლაქიებს, რომელთა ყიდვა შეიძლება სამინისტრო პორტფელებით და არა ქვეყნის ინტერესებით. და მეორეც ხმა მაღალი ლაპარაკი ჩვენ ყოველთვის გვქონდა ჩვეულებად, როცა სამშობლოს ინტერესებს თქვენისთანა ქვეშრომლები ჰყიდდენ—რატომ დაგავიწყდათ? წაიკითხეთ თუ გდალატობთ, მოიგონეთ „ხიზანთა საკითხი“, რომელმაც მოგიბზადათ ეხლა ოსეთის საკითხი, მოიგონეთ „რეალური მოსახლეობა“, მოიგონეთ კიდევ ბევრი რამ თქვენი წაჯე-უკუჯექობიდან და იქნება შეგრცხვეთ თქვენი სიტყვებისა; მაგრამ არა, თქვენ დღესაც ერთგულად იმეორებთ და ადიდებთ კიდეც სოციალ-დემოკრატების სიტყვებს, რადგან დღეს არის ხელსაყრელი: „ისე გაისჯე, რომ ყოველთვის რამე გამორჩენა გქონდეს“—სამინისტრო თუ არა, ეგების გუბერნატორობა მაინც გერგოთ სადმე, ამაში ჩვენ ვერ შევდრებით, თასაკვირველია.

მაგრამ ჩვენ არ გვაკვირვებს ჩვენს წინაპრებად დარაზმულ სოციალისტების ზნე და ჩვეულება თავის მოწინააღმდეგის დაფასებაში. ეს მათი ბუნებაა. ერთმანეთსაც ხშირად კიდევ უფრო ტკბილად უმასპინძლდებიან და ეს მათ ჰგონია პოლიტიკურ მოღვაწეობა და „პარევოლიუციო“ მოქმედებად. სანიმუშოდ მოვიყვანთ სოციალისტ-ფედერალისტების დახასიათებას მათ მახლობელ პარტიის—სოციალისტ-რევოლიუციონერების მიერ, რომელიც მეთაურად არის მოთავსებული მათს ახლად გამოსულ ქართულს გაზეთში:

„მენშევიკებს ბასა აძლევენ მათი უმცროსი ძმანი, ფედერალისტებიც: ქართველ შავრაზმელთა, პროვოკატორთა, გაკოტრებულ თავად-აზნაურობის ჩუმი მოტრფიალეთა და გამილახორის აგენტების ბუდე,—

კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის გარდაცვალება

ივნისის 26-ს ღამით ს. მარტყოფში ტრადიციულად გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეპისკოპოზი კირიონი. ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ რა პირობებში მოხდა ს. მარტყოფის ტრაგედია, ვიცით მხოლოდ, რომ მისი უწმინდესობა 26-ს დილით თბილისიდან მარტყოფში გაემგზავრა და დამით კი ეს საშინელი ამბავი მოხდა. მარტყოფში გაემგზავრნენ პროკურორი, ორი დამომძიებელი და საკათალიკოზო საბჭოს წევრები. შესდგა დამკრძალავი კომისია.

—

(საგენტოს ცნობა)

თბილისი. ივნისის 28. ივნისის 27-ს დილით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II ეპოვეს მიცვალებული მის საწოლ ოთახში, მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო ბინაზე, საზაფხულო რეზიდენციაში, სადაც მისი უწმინდესობა ივნისის 26-ს გაემგზავრა. ცნობა ამის შესახებ მოიტანა ივნისის 27-ს შიკრაკმა, რომელიც საგანგებოდ იქმნა გამოგზავნილი. გუშინ საღ. 7 საათზე სიონის ტაძარში გადახდილ იქმნა პირველი პანაშვიდი თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს მიერ ეპისკოპოზ დავითის და ტაძრის სამღვდელოების თანამსახურებით. პანაშვიდს დიდძალი მლოცველი დაესწრო.

—

ხუთშაბათს ივნისის 28-ს საღამოს 7 საათზე სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პირველი პანაშვიდი სრულიად საქართველოს კათალიკოს ქატრიარქის კირიონ მეორის სულის მოსახსენებლად. დაესწრო სრული შემადგენლობა საკათალიკოსო საბჭოისა და სასამართლოსი, ტფილისის სამღვდელოება და მლოცველნი. საღამოს 8 სიათზე შესდგა შეერთებული სხდომა საკათალიკოსო საბჭოსი და სასამართლოსი.

კრებამ ფეპზე ადგომით პატივი სცა კათალიკოსის ხსოვნას.

შემდეგ არჩეულ იქმნა დამკრძალველი კომიტეტი ყოველად სამღვდელო დავით ურბნელის თავმჯდომარეობით. კომიტეტში შედიან დეკ. ან. თოთიბაძე, დეკ. ალ. ჯაბაშვილი, მდგ. დიმ. ლასხიშვილი, გ. ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგი თ. სახოკია, ჩ. კაპანაძე და ი. მერკვილაძე.

სამგლოვიარო ამბავი დაუყოვნებლივ ეცნობა საქართველოს მთავრობას, რომელმაც დადგინა მიძინებულ კათალიკოსის დაკრძალვის ხარჯი გაწეულ იქმნას მთავრობის მიერ. დამკრძალავი კომიტეტი იმყოფება კათალიკოსის სასახლეში. დაწესებულია მორიგეობა კომიტეტის წევრთაგან. პანაშვიდები ყოველდღე შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე კათალიკოსის ეკლესიაში, სადაც ივნისის 27-ს საღამოთი უნდა მოესვენებინა მიძინებული კათალიკოსი.

მარტყოფში გაიგზავნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც გაუძღვება კათალიკოზის გადმოსვენებას ქ. თბილისში.

კომისიაში შედიან ყოველად სამღვდელო დავით ურბნელი, ირ. ცინცაძე, თ. სახოკია, ჩ. კაპანაძე, მერკვილაძე.

კათალიკოსის ცხედარი ბალზამით იქნება შემოსილი რასაც ხელმძღვანელობს ექიმი ვირსალაძე.

სამგლოვიარო დეპეშა

თელავს. ალავერდის რეგელი და სამღვდელოება უზომო მწუხარებას გამოსთქვამს სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზ კირიონ მეორის გარდაცვალების ვამო. მშობლიო ეკლესიამ დაკარგა მისი თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანი. ყველანერებით დმერთს, განუსვენოს სულსა მათს უწმინდესობისას.

ეპისკოპოსი პიროსი.

ᲠᲐ ᲛᲘᲡ

დასავლეთის ფრონტზე.

ბერლინი. ივნისის 28. გერმანიის სამხედრო ცნობა.

კრონპრინც რუბრეხტის ლაშქარი: მდგომარეობა უცვლელია. მოსალოდნელია მტრის მოქმედება სკარპის და სომის ჩრდილოეთით, სუასონის დასავლეთით და რეიმსის აღმოსავლეთით, რეიმსის ტაძარზე მტრის საზვერავი პუნქტი აღმოჩნდა. ღამით საარტილერიო ბრძოლა სხვა რაიონებში გაძლიერდა, გაძლიერდა აგრეთვე ჭყონდიერის ტყეში. ალბერეხტ ლაშქარი. მაასის აღმოსავლეთ ნაპირას ჩვენ ბრწყინვალედ დავუფარეთ. ს. მისაელის დასავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

საჰაერო ბრძოლა. მტრის ესკადრონები რომელიც გაგზავნილი იყო ყუმბარების ჩამოსაყრელად კარლირუზეზე, ოფფენბურგ'ა და ლოტარინგიის... (ამამოტანებულია) 5 ჰაერიოპლანი ჩამოვაგდეთ სიენსა. მფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები პარიზს და მტრის რამდენიმე სხვა ჰაეროდრომს.

პალესტინის ფრონტი

სტამბული. ივნისის 27. საარტილერიო ბრძოლისა და პატრულების შეტაკების გარდა არაფერი მომხდარა. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

მთავრობის წრეებში

სომხეთის და ადგრბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობა გზავნის თავის წარმომადგენლებს საქართველოს ყველა სამინისტროებში, რათა მიიღონ მონაწილეობა ყოფილ ამიერკავკასიის იმ დაწესებულებებში, რომელთა ლიკვიდაცია უნდა მოხდეს.

—

ამიერკავკასიის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის პლენუმის სხდომაზე დადგინდა, რადგანაც ჯერჯერობით გამოურკვეველია ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა, შენარჩუნებულ იქმნას არსებული ქალაქთა კავშირის ორგანიზაცია.

—

ივნისის 27 მთავრობის სხდომაზე სასოფლო სასამართლოს დაარსების საკითხის შესახებ იუსტიციის მინისტრს დაევალა წარმომადგენოს თავისი მოსაზრებანი.

—

შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა მიიღოს ზომები საქართველოში ერობის შემოსაღებად ეხლანდელ პირობების მიხედვით.

—

დადგენილია ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებს გადაეცეს ბონები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შეთანხმება პასუხისმგებლობით 300 მილიონი მანეთის ბონების გამოცემისათვის.

დეპეშა ქუთაისიდან

გუბერნიის კომისარი მთავრობას დეპეშით ატყობინებს: ბრბო საჩხერეში შემოვიდა, მოიწევენ შორაპნისა და ჭიათურისაკენ. საჩხერეში ადგილობრივ მილიციონერთა და ბრბოს შორის შეტაკება მოხდა. ყვირილიდან წამოვიდენ წითელ გვარდიელები. საჭიროა ძალის მოშველება

ოსმალეთის დესანტი

სუხუმში.

27 ივნისს საღამოთი საქართველოს მთავრობამ მიიღო შემდეგი ცნობა სუხუმიდან: სუხუმის სამხრეთით, მდინარე კოდორის მახლობლად ოსმალებმა გადმოსხეს დესანტები, რიცხვით 800 კაცამდე. რაზმის მეთაური ყოფილა თავადი ალექსანდრე შერვაშიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ოსმალეთის მთავრობამ გამოატანა მას ჯარი აფხაზეთის ბოლშევიკებისაგან დასაცავად. აფხაზთა სახალხო საბჭომ სასტიკი პროტესტი განაცხადა მტრის დესანტის გადმოხვის გამო და ოსმალთა სარდალს განუცხადა რომ, სოხუმის ოლქში ბოლშევიკები არ არიან და რომ აბზაზთა ტერიტორიაზე მოქმედებენ აფხაზთა რაზმები საქართველოს რესპუბლიკის ჯარებთან ერთად.

ამასთანავე ერთად აფხაზეთის სახალხო საბჭომ თხოვნით მიმართა საქართველოს რესპუბლიკას—დაგვეხმარეთო. საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა დაეცვა აფხაზები. თვით საქართველოს მთავრობამ გერმანეთის დიპლომატიის წარმომადგენელთ განუცხადა ოსმალთა მიერ საქართველოს საზღვრების გადმოლახვის უკანონობა. გერმანეთის წარმომადგენლებმა ადუქვეს ამის შესახებ ოსმალეთის სარდალს მოველაპარაკებიო.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

თბილისი.

✦ **ბემდგომი ხატყვის ბიურო.** ქართულ პარლამენტთან და მთავრობასთან არსდება ქართული ბემდგომი ხატყვის ბიურო. საინიციატივო ჯგუფის თაოსნობით პირველი კრება ამ კავშირისა შესდგება დღეს საღამოს 7 საათზე საასახლის თეთრს დარბაზში. ყველა ქართველი ჟურნალისტებს, მწერლებს და გაზეთის თანამშრომლებს იწვევენ ამ კრებაზე დასასწრებლად. კრებას მოხსენდება ბემდგომი ხატყვის ბიუროს დაარსების საჭიროების შესახებ წესდების პროექტი და შემდგომ ამისა მოხდება ბიუროს პრეზიდიუმის არჩევნები.

✦ **ხოლერა.** დღეს ქალ. თავის ამ ხანაგას კალეჟნის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი ხოლერასთან ბრძოლის საკითხზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის ექიმებმა, მილიციის წარმომადგენლებმა, და სხვ. შეიმუშავეს მიღები რიგი რადიკალური ზომებისა, რომ ეპიდემია არ გავრცელდეს. გამოირკვა, რომ ხოლერა ადერბეიჯანში გაჩნდა—განჯასა და ბაკოში, და აქედან ალბად ტფილისში

✦ **ბონები.** სახელმწიფო ბანკში ივნისის 5-დან—24 1 მანეთიანის ბონები შეიტანეს 1,500 მანეთის და 8 მანეთიანი 260,000 მანეთის.

✦ **ხაგარეთ საქმეთა სამინისტრო** გადაგიდა ერმილოვის ქუჩაზე № 9.

✦ **რუსთა ეროვნულმა ხაბჭომ** მეორეთ მიმართა თხოვნით მთავრობას უზრუნველჰყონ რუსეთის გემები, რომელთაც ლტოლვილები შავი ზღვით გადაჰყავთ რუსეთში, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზით მოგზაურობა სახიფათოა.

✦ **ანარქია დენიკინში.** მთავრობამ ქუთაისის საგუბერნიო კომისარს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: მთავრობის დადგენილებით სახალხო გვარდიამ თქვენს განკარგულებაშია ლენინის მაზრაში გამეფებულ ანარქიასთან საბრძოლველად.

✦ **სიზიზღარი მკვლელობა.** 22 ივნისს ამა წელს სადგურ ქსნის ახლოს ეერაგულად მოჰკლა გაბოლშევიკებულ ბრბომ მეათე ქართულ ქვეითთა პოლკის ჯარისკაცები გიორგი იდიას ძე გარსევანაშვილი, დადიანიძე და ერთი ქალი და ქსნის ბორნიდანვე გადაყარეს მდ. ტკვარჩში. დადიანიძე გამოიყვანია იქვე ახლოს, მხოლოდ გარსევანაშვილი უკვალოდ დაიკარგა. მპოხელს ვთხოვთ აცნობოს ამა გაზეთის რედაქციას. მიიღებს დიდს საჩუქარს.

მიწის საკითხი საქართველოში

(იხილე „საქართველო" № 125).

VII. კერძო მფლობელობის მიწის ფონდი.

ჩვენ განვიხილეთ კერძო მიწადმფლობელობა, როგორც თავად-აზნაურობის, ისე დანარჩენ წოდებათა და დავინახეთ, რომ ამ მიწების ოთხი მეხუთედი გამოუსადეგარია მიწა-მოქმედებისათვის და მაშასადამე არ გამოგვადგება იმ ფონდისათვის, რომელიც უნდა შევქმნათ ჩვენ მშრომელ მიწის მუშათა დასაკმაყოფილებლად. საყურადღებოა აგრეთვე ის მოვლენა, რომ რამდენად დიდია ასეთი მამულები იმდენად ნაკლები პროცენტია ამ მიწებში მიწა-მოქმედებისათვის გამოსადეგი მიწებისა. თუ 0—10 დესეტინის სივრცის მფლობელობებში მაღალი ხარისხის მიწები 86 და 93% (არა თავად-აზნ.) მცირე მფლობელობებში უკვე ეს პროცენტები კლებულობს და 13 პროც. ჩამოდის.

[illegible] ძლეველია სისწორით გამოარკვევა, თუ რამდენ მიწას მისცემს [illegible] მფლობელობა გასახლებულ მიწის რეფორმის შესასრულებლად. ამის გამოსარკვევად არ არის საკმარისი ის ცნობები, რომელიც ამ ჟამად მოიპოვება. როდესაც დაწესებული იქნება მფლობელობის ნორმა, რომლის ზევით მეპატრონეს მიწა ჩამოერთმევა, ამის შემდგომ საჭიროა სისწორით გამოკვლევა იმისა, თუ ესხვილ შეპატრონეთ რამდენი და როგორი ხარისხის მიწები აქვთ, მიწების რომელი ნაწილი გადავა სახელმწიფოს ფონდში და როგორი ნაწილი მოხმარდება მცირე მამულიან მშრომელთა დაკმაყოფილებას.

როგორი პროგრამა მით არ უნდა განხორციელდეს მიწის რეფორმა საქართველოში თავად-აზნაურობის მფლობელობის დიდი ნაწილი გადავა სახელმწიფოს ფონდში. ხოლო ამ მიწებში ძალიან ცოტა აღმოჩნდება მიწა-მოქმედებისათვის გამოსადეგი და მაშასადამე, ისეთი მიწები, რომელნიც მცირე მამულიან მშრომელთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოადგება სახელმწიფოს.

რასაკვირველია, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში—ვთქვათ გორის თუ ბორჩალოს მაზრეებში, თავად-აზნაურობის და, საზოგადოდ კერძო მიწადმფლობელობა მიწის რეფორმისათვის ხელშეუშლელად ფოხდს მოგვცემს, მაგრამ ყოველივე ეს იქნება მეტად უმნიშვნელო შედეგებით იმ ინდედებთან, რომელსაც ჩვენ ვამყარებდით კერძო მიწად-მფლობელობაზე და ეს, ოღა თუ იმ კუთხეში შექმნილი მცირე ფონდები სრულიად ვერ ეხმაურებენ საგრძნობლივ ცვლილებას საქართველოს მიწადმფლობელობაში.

ამას საკმაოდ გვიმტკიცებს ის ცნობები, რომელნიც ზემოდ ჩვენ მოვიყვანეთ საქართველოს კერძო მფლობელობის შესახებ. მაგრამ სინამდვილე გაცილებით უფრო უნუგეშოა.

ორ თვეზე მეტია, რაც ჩვენი მთავრობა საგარო რეფორმის პროექტიკელად განხორციელებას შეუდგა და ეხლა ეკვე ამ კანონის ცხოვრებაში გამოტარებელთ უთუოდ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვთ ნემუშაევებული იმის შესახებ, თუ რამდენი მიწები მოიპოვება საქართველოში უმიწაწყლო მშრომელთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. თუმცა მეტად თავისებური და ზედმეტად გამარტივებული იყო მამულების „მიღების კომისიების" მუშაობა, მაგრამ მათ ჯერ, როგორც მათი ანგარიშები გვაჩვენებს, სულ ცოტა მიწები მიეღოთ და მათივე ცნობებით მისადებიც ცოტა დარჩენოთ. მიწად-მოქმედების სამინისტროს ცნობებით ამ ბნის განძაველობაში თბილისის გუბერნიის ყველა მაზრებში საგარეო ფონდში გადასულა რვა ათას დესეტინაზე ცოტა მეტი. ქუთაისის გუბერნიაში მიუღიათ 70 მამული, მათ შორის თავ. მინგრელსკის მამული სივრცით 13,000 დესეტინა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს 13,000 დესეტინა ნახევრად თუ იქნება გამოსადეგი მიწა-მოქმედებისათვის და ეს მაშინ, როდესაც ამ მესაკუთრეს მფლობელობა თითქმის 300,000 დესეტინას შეიცავს. და ასეთი მახვილი მეულობელობა, გარეგნულად ფრიად საიმედო მიწის რეფორმის მოსახდენად იძლევა სულ რამოდენიმე ათას დესეტინას. დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს სვანეთის და ლეჩხუმის თოვლიან მთებს, მიუვალ ტყეებს და ზღვის ნაპირა ჭაობებს. მაგრამ საკმაო უფრო ახლოს გვეცნოთ ამ მამულის იმ ნაწილს, რომელიც მიწათ-მოქმედებისათვის გამოსადეგია ამ ჟამად, რომ დავინახოთ, ამ მცირე ნაწილის გამოუსადეგრობაც საგარეო რეფორმისათვის. მიწათ-მოქმედებისათვის გამოსადეგი მიწები უკავია დროებით ვადდებულ გლეხებს და ხიზნებსა თუ წვრილს მოიჯარადრეებს, რომელნიც აგრეთვე დიდი ხნით ფლობენ ამ მიწებს. ასე რომ საქართველოში ამ უდიდესი მამულის „მიღება" სადგილმამულო კომისიის მიერ იქნება ხელოვნად ფიზიოლოგიური და მიწათ-მფლობელობის რეფორმისათვის მნიშვნელოვან ფონდს არ მოგვცემს.

რასაკვირველია, კერძო მფლობელობა მეტს ფონდს მოგვცემს, თუ მფლობელობის ნორმა დადაწესებთ ხელოვნურად მეტად მცირე, როგორც ამას ამიერ-კავკასიის მიწის დეკრეტი შვრება, მაგრამ ამ შემთხვევაში საგრძნობლად გაძნელდება რეფორმის განხორციელება და შედეგები მისი აგრეთვე სრულიად არ იქნება საესურველი და საარგებლო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

ჩვენ განვიხილეთ სახაზინო და საუფლისწულო მფლობელობა და დავინახეთ, რომ ის თითქმის არავითარს ფონდს არ მოგვცემს მცირე მამულიან მშრომელთა დასაკმაყოფილებლად. უდიდესი ნაწილი ამ მფლობელობისა უპირავს ტყეებს და საზაფხულო და საზამთრო საძოვრებს, რომელნიც ხაზინის გამგეობლობაში უნდა დარჩეს. დანარჩენი მიწები უკავია თითქმის სრულს საკუთრებად, საშვილიშვილოდ ეგრეთ წოდებულ სახაზინო გლეხებს, „პოსელენცებს, გერმანელ კოლონისტებსა და ხიზნებს. ამ მიწების ერთი ნაწილი უკავია აგრეთვე სხვა და სხვა საზელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

სახაზინო მიწების შემდგომ მიწის ფონდის შესაქმნელად დიდს იმედებს გვაძლევდა კერძო საკუთრების მიწები, განსაკუთრებით თავად-აზნაურობის მიწა-მფლობელობა. ჩვენ დავინახეთ, რომ ამ მამულების ოთხი მეხუთედის მეტი შეიცავს ისეთს მიწებს, რომელნიც მიწა-მოქმედებისათვის არ გამოდგება და ხაზინის ხელში უნდა დარჩეს. რაც გამოსადეგია მიწა-მოქმედებისათვის, ამის დიდი ნაწილი დროებით ვადდებულ გლეხებს უკავია და დანარჩენი ნაწილიდან უნდა დაკმაყოფილდენ თვით შეპატრონენი თანახმად შემუშავებულ ნორმისა და ყოველივე ამის შემდგომ რაც გადარჩება, ეს იქნება ის ფონდი, რომელიც მოხამრდება უმიწაწყლო მშრომელთ საჭიროებას.

ჩვენ ვხედავთ, რომ ის მიწები, რომელნიც ამ ჟამად ცნობილნი არიან გამოსადეგად და რიცხვი, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო შემოსავალს იძლევა, სახაზინო, საუფლისწულო თუ კერძო საკუთრების ძალიან ცოტა შეიცავს მიწის რეფორმისათვის ფონდში გადასახიცხავ მიწებს.

მაგრამ საქართველოს შვიდ მილიონ ნახევარ დესეტინა მიწა უკავია და აქედან მთელოდ ნახევარი ნაწილია ცნობილი გამოსადეგად და სასარგებლოდ. იქნებ ეს, ამ ჟამად უსარგებლოდ ცნობილი მიწები გამოგვადგება მიწის მუშათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად თუ ეხლა არა, მახლობელს მომავალში მაინც?

ქვემოდ ჩვენ მოკლედ შევეხებით საქართველოს გეოგრაფიულს პირობებს და დავინახავთ, რომ ამ გამოუსადეგარი მიწების უდიდესი ნაწილი მართლაც და გამოუსადეგარია არამც თუ მიწა-მოქმედებისათვის, არამედ თითქმის ყოველგვარი მეურნეობისათვის, ეს იმიტომ შეიცავს თოვლიან მთებს, სალ კლდეებს, გამშრალ მთებს და სხ. მაგრამ ამ მიწებში მოიპოვება ისეთი მიწებიც, რომელნიც სათანადო შრომისა და სახსრის გამოდებით შეიძლება მეურნეობისათვის გამოსადეგი შეიქმნეს. ასეთია ალმოსავლეთს საქართველოში მთურწყავი მიწები, და დასავლეთს საქართველოში ჭაობიანი ადგილები. წყალთა უწყებას ლეგმდინარე გამოუკვლევია, როგორია საერთოდ ყველა მთურწყავი, ამ ყველა მიწებ თბილისის გუბერნიაში და განსაკუთრებით იმ მიწების, რომელთა მორწყვა შესაძლოა. აგრეთვე გამოურკვეველია როგორია შავი ზღვის სანაპიროების ჭაობიანი ადგილების სივრცე. ამ ვასილიევ კ-ს გამოკვლევით ჭაობიანი ადგილები შავი ზღვის ნაპირებზე ბოსფორგეთის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში 138,272 დესეტინა სივრცეს შეიცავს. შირაქის ველი, ყარაიაზი, თუ გორის, თბილისის მაზრის ის მიწები, რომელნიც უსარგებლონი არიან უწყლობის მიზეზით ჩვენის ფიქრით ამაზე ნაკლები არ იქნება. მაგრამ ამ ველების დაშრობა თუ მორწყვა უდიდეს თანხებს მოითხოვს, თუმცა გაწეული ხარჯები ერთი ათად ანაზღაურდება მახლობელს წლებშივე.

(შემდეგი იქნება)

ა. ახალთიანი.

126 ეროვნული ბიბლიოთეკა

საკალდგულო დადგენილება

რადგანაც ქალაქში ბოლო დროს ადმოჩნდნენ ხოლერით ავადმყოფები თანახმად შრომის მინისტრის დადგენილებისა ვუბრძანებ ყველა ქარხნის პატრონთ, საგაპრო დაწესებულებათ და გამდგეთ სხვა და სხვა საფოდრათო საქმეებისა ქ. თბილისში და გუბერ. მოაწყონ ბინები ამ სენთან საბრძოლად მარქაფათ, ადუდებული წყლით საცსე სპეკრეტები. დაასუფთაონ წსამუშაო თვის ადგილები და მუშების საცხოვრებელი ბინები, დაიწყონ დეზინფექციის მოხდენა უსუფთაო ადგილებში და ამასრულონ ყოველივე განკარგულებანი სასანიტარო სატენნიკო ზედამზედველთა და ბრძანებანი მილიციონერთა. მუშათა ორგანიზაციებს მოუწოდებ, რომ ყურადღებით მოეკიდონ ამ ჩემს განკარგულებებს. ხვალიდან იქნება დათვალიერებული ყველა დაწესებულებანი და დამნაშავენი სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

28 ივნისი 1918 წელი.

სწორია: კალანტარი.

გერმანელები ნოე ჟორდანიასთან

თბილისში ჩამოსულ გერმანელ და ბულგარელ ოფიცრებმა 25 ივნისს გენ. ფონ-კრესსის მეთაურობით მთავრობის თავმჯდომარე ინახულეს და ხანგრძლივი მოლაპარაკება იქონიეს მასთან. გენ. ფონ-კრესსი შეეხო საქართველოში გერმანულ ჯარის ყოფნის საკითხს და სხვათა შორის სთქვა, რომ როგორც მას შეუტყობია ქართველი ხალხი უარყოფით შეხვდა გერმანელების ჩამოსვლას, მაშინ როდესაც გერმანელი ჯარი ჩამოვიდა აქ მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილით. და თანხმობით საქართველოს საზღვრების დასაცავად. ხოლო თუ ხალხი უარყოფით შეხვდა გერმანელებს მათ შეუძლიანთ უკან გაბრუნდნენ.

როცა გენ.ფონ-კრესსი საქართველოს მართვა-გაგეობის ხასიათს შეეხო, მან სთქვა, რომ გერმანიისა და მის მოკავშირეთათვის საქართველოს მართვა-გამგეობა, სოციალისტური იქნება ის თუ არა, სულ ერთია. მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ ამაზე შენიშნა, რომ ქართველი ხალხის უმეტესობა გერმანელების ჩამოსვლით გაუგებრობაა და ქართველი ხალხი გერმანიას და მის მოკავშირეებს ისე უყურებს, როგორც თავის მეგობრებს, რომლებიც, როგორც დიდი სახელმწიფონი, საქართველოს დახმარებას უწევენ საქართველოს ინტერესების დაცვაში გარეშე მტრებისაგან.

გოლშევიკების დამარცხება სოხუმის ოლქში

მთავრობის ჯარმა უკვე ზაბათს გრძოლით აიღო გუდაუთი. ბოლშევიკების ჯარშა გაბეთქლება მოხდა. მეამბოხე ოფიზერებმ, რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ ლაკობის განკარგულების ქვეშ მიქმედებდნენ, მათ მიატოვეს ჯარი და მოვებში დაიხიეს. ამასთანავე მოეგებისაკენვე იხვეენ ჩრდილოეთიდან მოსული ბოლშევიკები, რომელთაც ფეხდაფეხ მისდევენ ჩვენი ჯარის ნაწილები. ჩვენმ ოწინავე რაზმებ უკვე24 თიბათვის შეეძლოთ შესვლა გაგრაში, მაგრამ ჯარების უფროსის გენ. მაზნიაშვილის სტრატეგიული მოსაზრებით გადადებული იქნა გაგრის ოპერაცია რამდენიმე დღით. უკანასკნელი ცვლილის განმავლობაში ბრძოლის დროს ჩვენი დანაკლისი შემდეგია: მოკლულია 1 ჯარისკაცი, დაჭრილია 4, დაშავებულია მაუუკ 8 კაცი.

ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენი ძალები დიდად გაიზარდა. გარდა თბილისიდან და ფრონტიდან მოსული ჯარისა, ჩვენს ჯარს შეუერთდა აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის მიერ მოწყობილი ცხენოსანთა ორი და ერთიც ქვეითა ჯარის რაზმები, სულ სამასი კაცი, აგრეთვე ბერძენთა მოხალისე რაზმები.

შტაბის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 2 ზარბაზანი, 7 ტყვიამფრქვეველი, 100 ზე მეტი ვინტოვკა, დიდძალი პატრონები და სხვა.

გენ. მაზნიაშვილის ჯარს მიზნად აქვს სულ მოკლე ხანში გასწმინდოს მთელი სუხუმის ოლქი ბოლშევიკებისგან და იარადი აჰყაროს არა საიმედო ელემენტებს, რასაც ძალიან თანაგრძნობია ეკიდება აფხაზების უმეტესობა. სრული იმედია, რომ ბოლშევიკთა ავანტიურას ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო ამ ახლო მომავალში.

ქართულ უნივერსიტეტთან არსებული სატერმინოლოგიო სექცია

თბილისის ქართულ უნივერსიტეტთან არსებული სატერმინოლოგიო სექცია პროფესორი ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეუდგა საპრაქტიკო მუშაობას. ქართულ უნივერსიტეტში თბილისის მუზეუმიდან უკვე გადიტანეს ძველი ხელთნაწერები საფილოსოფიო, სამედიცინო, სასამართლო, სამათემატიკო და სხვა დარგებიდან. პატარა წრე უკვე შეუდგა მუშაობას. ამ ხელნაწერებიდან უნდა ამოიწეროს ტერმინები თავისივე განმარტებით; ეს მასალა შემდეგ გადაეცემა პროფესორთა საბჭოს, რომელიც უკვე შეიმუშავებს ტერმინებს.

სამუშაო საინტერესოა და სახელმწიფოსათვის ძრიელ საჭირო, მაგრამ მომუშავეთა რიცხვი მცირეა. საჭიროა რომ თბილისში მყოფმა მასწავლებლობამ, სტუდენტობამ და ყველა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს ამ მუშაობაში მონაწილეობა. ვინც მოისურვებს, უნდა მოვიდეს ქართულ უნივერსიტეტში საღამოს 5—8 საათამდე,— ყოველდღე, გარდა კვირისა.

შავი-ქვის მრეწველთა მეორე საგანგებო კრება

ქ. ჭიათურაში 18 ივნისს, დილის 11 საათზე, გაიხსნა ადგილობრივ საკრებულოში, შავი ქვის მრეწველთა მე-20 ყრილობა. კრება ჩვეულებრივად გახსნა თავმჯდომარე კვეკვასიის სამთომადნო უწყების ინჟენერმა ი. ა. ცეიტლინმა, რომლის მდივნადაც დ. მდივანი აირჩიეს.

ყრილობამ მოისმინა მოხსენება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ და დადგინა: „ყრილობა მიესალმება მთავრობის ყველა ნაბიჯს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების გამო და ბზად არის დაეხმაროს ნორჩი რეპუბლიკის აყვავებას“.

ადასანიშნავია, რომ დამსწრე საზოგადოებამ ყოველ საკითხს ლმობიერი და აწონ-დაწონილი ანგარიში გაუწია. მრავალ მორიგ საკითხთა შორის ამ დღეს გაირჩა, რომ გადიდებული იქმნას მაღაროებში დაშავებულ მუშებისა ან თუ მათი ოჯახების მისაცემი პენსია და ერთდროიული დახმარება დროის შესაფერისად, მოემატოს ექსპერტიორებს მუშის ფულის გადასახადი 15—50 კ.-დე, აგრედვე გახნილ იქმნა გეგმა სამთო ინჟენერის ავდიევის და შავი-ქვის მრეწველის ი. ს. ვარაზაშვილი ა—შავი-ქვის გამოზიდვის შესახებ ჭიათურის მიდამოებიდან. ამ გეგმას კამათი არ გამოუწვევია, იგი უკომენტარიოდ იქმნა მიღებული შემდეგის პირობებით: მათ უნდა ელექტრო-ჰიდროლიფური სადგური მოაწყონ ქალაქს ქვემოდ მდ. ყვირილაზედ, სადგურ სადიეთამდე და აქედან წამოღებული ელექტრონის ძალით გიიყვანონ რკინის გზები: რგანის, წირქვალის, დარკვეთის, ითხვისის და შუკრუთის ხეივნებში, არა ნაკლები ათ-ნახევარი ვერსის სიშორით, რომ ამ გზით გამოზიდონ ფუთი ქვა ორ კაპეიკად, ისე კი, რომ შავი-ქვის არსებულ მოძრაობას, როგორც მადაროებიდან ისე რკინის გზებზე, ხელი არ შეუშალოს. კონცესია მთავრობის ნებართვა მათ ამ საგანზე ექვსი თვის განმავლობაში უნდა მიიღონ და მუშაობაც განაახლონ და გათავონ ორი წლის განმავლობაში— წინადადებ შემთხვევაში ყველა მათი უფლებები და ქონება ფასად ეთმობა ყრილობას. მართალია, საქმე მეტად რთული და მომავლის საკითხია, მაგრამ, რომ შავი-ქვის გაქანის საკითხი მომწიფებულია და ტანჯვაურად ნიადაგზე დამდგარა, აშკარაა, რაც თამამად შეძლებენ, შეასრულონ შეძლებულმა ახალგაზრდა მრეწველმა ი. ვარაზაშვილმა და გამოცდილმა სამთომადნო ინჟენერმა ავდიევმა. დარჩა შავი-ქვა მხოლოდ სოფელ მერეკვში და დარბაისელებში, საიდანაც მისი გადმოტანა ჭიათურაზე საძნელოა და მესაკუთრეობაც ამან შეუნარჩუნა დღემდე. იგი უზრუნველყოფილი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ეროვნულ სიმდიდრედ იქნება ალიარებული და დაცლითაც „საძალიზევის“ ხეივნით დაიცლება.

19 ივნისს ყრილობის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ მოხსენება გააკეთა ბ. ს. წერეთელმა. ღონიშნა მოთხოვნილება მათი 23 ქრისტიშობისთვისა, სადაც ისინი ძირითად ჯამაგირზე სიძვირისა გამო ას მანეთს მეტს მოითხოვდნენ, შემდეგ 24 მარტის მოთხოვნილება, სადაც 150 მანეთს ითხოვდნენ დამატებით და რომ საბჭო ამ მოთხოვნილებათა შესახებ გარკვეულ გზას ვერ დაადგა კასის სიღარიბისა გამო, კომისიის გადაწყვეტილება ყრილობამ საბოლოოდ იცნო და მიანდო იმავე კომისიის საბჭოსთან ერთად იმ დარგების მოსამსახურეთა ადგილებიც გააუქმონ, რომელნიც წარმოებაში არ არიან. საბჭოს, როგორც ყრილობის ალმასრულებელ ძალას, ეს უფლება აქვს.

კამათი და აზრების გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია სამინისტროდან მოსულმა ქალბატონმა შესახებ კოლექტიური ხელშეკრულების დადებისა მუშებსა და მრეწველთა-შორის. ამ კამათის დროს მკაფიოდ გამოირკვა შესაძლებელი შემცდარი ნაბიჯი შრომის სამინისტროისი, რომ ქ. თბილისში ორი-სამი ექსპერტიორის თანადასწრებით მუშების წარმომადგენლებს ყრილობის შეუკითხავად უნდა გადაეტრა ეს ფრიად რთული საქმე. ეს საკითხი თუ კიდევ წინ გადადგეს გასარჩევად, ამის მიზეზი მუშათა დელეგატები გახლავთ, რომ კრებაზე ყრილობის რწმუნებული ვერ აღმოაჩინეს. მართალაც და ერთხელ და სამუდამო ამ საკითხის გათავებაა საჭირო, რომ შავი ქვის წარმოება არ შეფერხდეს. მუშაობის შეჩერებას, გაფიცვას, ქურდობას, ჩხუბს, სასწორების წვასა და მექრთამეობას ადგილი ალარ ექნება. მუშა გადაჭრილ დროს შესაფერ გაგებულ სასყიდელს აღებს ადნიშნულ სამუშაოზე და მით მწარმოებელი უზრუნველი იქნება. მაგრამ წარმოებაში ბრძოლა ჩვეულებრივი მოვლენაა ყოველგან და მითუმეტეს ჭიათურაში. გუგეშავრია ჩვენთვის ზემოდ მოყვანილი გზის გადახვევა ამა თუ იმ პირისათვის, რადგან თუ წარმოება უნდა ადგრძინდეს სხვა გზა არ არსებობს. სხვა გზა გამოიწვევს არანორმალურს შედეგებს, რაც ყველასათვის მაგნებელია. მართალია, კომისია ირჩა ამ საგანზედ შვიდი კაციდან შემდგარი—ჯ. ბაბაშიძე, დ. ბაბულაძე, ი. თევზაძე, რ. ანჯაფარიძე, აგვერინო აგეგნილაი, პერსიანაკი და რადოვიჩი, მაგრამ ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ შესძლონ მათ ამ საქმის დაგვირგვინება, თუ მთავრობამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია.

ყრილობამ საჭიროდ სცნო ეთხოვოს მთავრობას, რომ შავი ქვის წარმოებაში ყველა მოსალოდნელი ნაბიჯები მრეწველთა ყრილობის შეუთანხმებლად არ გადადგას და აგრეთვე ყოველნაირი საკითხი ამ დარგის ეროვნულ სიმდიდრეთ გამოცხადებისა—მოხდეს ყრილობასთან შეთანხმებით. ექვს გარეშეა, რომ თუ დეკრეტი მთავრობისა შავქვაზედ—რომ იგი ეროვნულ სიმდიდრეს უნდა შეადგენდეს, არ ვრცელდება უცხო სახელმწიფოს მრეწველობაზედაც, ეს დასწყვეს ისედაც წვრილ მრეწველობას ქართველებისას, იგინი თავიანთ სამრეწველოებს ცალკე ააყენებენ და ჩვენ მრეწველობასაც შეიწირავენ. ამას რომ საჭელსწიფოებრივი ხასიათი აქვს და მრეწველთა ინტერესების დაცვა თვით ყრილობას უფრო შეუძლიან, ვიდრე სხვას, ამას აქცევსრა ყურადღებას სიეზდი ჯეროვანად ითხოვს საქმეში აქტიურ მონაწილეობას.

კრების დასასრულს რ. ანჯაფარიძემ უცხო ტომის მრეწველთა ზრდილობიანი პირით მიმართა და მოიწვია იგინი ქართველის შესასწავლად, ვინაიდან ჩვენმა წვალებამ ამ საგანზე ყველანი შეგვაწუხეო და მეორე სიეზდისათვის უკვე ან თარჯიმანები იყოლიეთ, ან შეისწავლეთ ადგილობრივი ენაო, მით უმეტეს, რომ თავმჯდომარე ყრილობისა კარგათ მფლობს და ლაპარაკობს ქართული ენითო, რის შემდეგ კრება დასრულებულად გამოცხადდა.

გალ. ქავთარაძე.

დუშეთის ამბები

დუშეთის მაზრაში მომხდარ ანარქიის შემთხვევითი ხასიათი არა აქვს. მაზრა, მოკლებული მეთვალყურეს, პატრონს, თავის ანაბარა დარჩა და ღრმად დაეწყაფა გაურკვევლობიდან გამოსავალი გზის ძებნას, რომელიც ადგილობრივი გამალშევიკებული ჯარის კაცების და და უცხოდ მომდინარე პროვოკატორ აგენტების გავლენის წყალობით რუსულ ბოლშევიზმში დაინახა, რაშიაც თავისი შემცდარი, მაგრამ გულწრფელი შეგნებით წინასწარ ხედავდა თავის ხსნას, პატრონს წესრიგს და ყველაფერს. არსად იყო სამართალი, გარჩევა, არსად იყვნენ მოწესრიგენი და თუ იყვნენ, პარტიული ერნიანობის გამო ისეთი უავტორიტეტო, უვიცნი ზოგან ლაქიები მაგ. ქვეშეთის რაიონის კომისარი რომელთა უვიცობა იქამდინ მიდითდა, რომ სიტყვიერი მასალის უქონლობის გამო რომ ხალხისათვის რითიმე გული მოეგოთ თვითვე არწმუნებდნენ ხალხს, რომ წითელ ქუდიანი ქართველი ჯარები აზნაურები არიან და სხვა ასეთი პროვოკაციით ჰკვებდნენ. თუმც ეს ვაჟბატონები არ იყვნენ ხალხისგან ნდობით აღჭურვილნი, ვინაიდან ხალხი მათ მათი წარსულით და აწმყოთი ან გაგონით იცნობდა და ისეთი ბრიყვნიც არ არიან რომ გულწრფელად ეცნოთ ისინი, ვისაც წინადაც არ ენდობოდნენ, მაგრამ დრომდის კი უნდა ეცნოთ როგორც მუშათა პარტიის დანიშნული კაცი. ასეთ პირობებში ხარბად ეწაფებოდა უპატრონობითა უკმაყოფილო და უპატრონობითვე ზედ მეტად გათამამებულ აგენტიერებული სოფელი მთელი თვისი აღვირ ახსნილი ფანტაზიით ბოლშევიკ აგიტატორების პროვოკაციას და თვით ჯერ კიდევ გაუბედავი აქტიური გამოსავლისათვის ნატვრით ელოდნენ და იმედიც ჰქონდათ რიდის შემოვიდოდნენ კავკავიდან რუსის ბოლშევიკები „საწყალი ხალხის პარტია“ აქაც საბოთხის დასამყარებლად და ბოლოს იქამდის მივიდა, რომ გამოუნაკლისად დიდიან პატარიანად სოფელში ყველა ბოლშევიკ გახდა. ცრემლს მოჰგვრის გულჩვილ კაცს როცა ასი წლის უკანილი მოხუციც კი წარმოუდგენელი გულწრფელობით ლმერთს შენატრის რუსის ბოლშევიკების მალე მოსვლას და თანაც შიშს გამოსთქვამს თავად აზნაურების და ბურჯუაზიების ჯარმა (წითელი გვარდია) იმათ მოსვლამდის ქვეყანა ისევ არ დალუპონ. მთაში ბოლშევიკებისადმი რწმენა ფსიხიდისა აგენტების წყალობით იმდენად ძლიერი შეიქნა რომ დარწმუნებულნი არიან თუ ბოლშევიკებს მიეცემრენ და შემოუშვეს „ძმები გახდებიან“ და თერგის ოლქის საძოვარი და სხვა მამულები საერთო შეიქნება, მთიელი იქ თავისუფლად მოხნავს ცხკარს მოაძოვებს და სხვა.

უკანასკნელად მთელ სამხედრო გზაზე ბოლშევიკური მოძრაობაა მტკიცე ხელი შეუწყეს სომხის და რუსის ბელენცებმა, რომელნიც აშკარად, საჭიროდ გულისწყრომით გაბრაზებულნი უშვერად აგინებენ ჩვენკელს და სხვებს სომხეთის, რუსეთის და თვით საქართველოს ომმალეთზე და გერმანეთზე გაყიდისათვის, რუსების გარეკისათვის და სამაგიეროდ მოუწოდებენ ბოლშევიზისაკენ. ასეთს პროვოკაციას არ ერიდებიან სომხის სტუდენტებიც კი, რომელნიც სხვა და სხვა თანამდებობებს ასრულებენ სამხედრო გზაზედ ბელენცებისათვის დაარსებულს „პიტალნი პუნქტებზე“. ხშირად ტკბილი ენა ბელენცებისა ძრიელ ხანგრძლივად იცველებოდა. ამდენად გათამამებულნი არიან ზოგიერთნი რომ ხალხს აშინებენ, მივდივართ კავკავში ბოლშევიკების ჯართან შესაერთებლად და მალე წამოვალთ თბილისებზე და ქართველებზე ჯარის ამოსაყრელათო. თუ რომელიმე ეკეპარი მათ ძვირად რასმეს მიჰყიდნენ, მის ვინაობას უბის წიგნაკებში იწერდნენ და მუქარით მიდიოდნენ, მოიცადეთ, მალე დავბრუნდებით რუსეთის ბოლშევიკები ძლიერნი არიანო. რომ მკითხველს გაზვიადებული არ ეგონოს, დაგვარწმუნებთ რომ პირადად მქონდა შემთხვევები ასეთი ფაქტების წესწერებისა.

ასეთ პირობებში სცხოვრობდა დუშეთის მაზრა დღემდის. იმ დროს, როცა ჩვენმა მენშევიკებმა არაფერი ღონე და ხერხი არ დაზოგეს რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის და წინადაც მოწინააღმდეგე პარტიებთან ბრძოლაში, ასეთი ფსიხიკური გახარწნილობის დროს კი, როცა მართლა საფრთხე მოითხოვდა, ერთი პროპაგანდისტიც არ უნახავს სოფელს.

დაიწყო დარიალში ბოლშევიკებთან ბრძოლა. მთელი ხალხს ყური იქით იყო მიპყრობილი და მოუთმენლად ელოდნენ დღეს ხვალ ბოლშევიკების შემოსვლას და სანატრელი სტუმრის დახვედრას. მაგრამ იმედი არ გამართლდა დაიწყო ხალხში ბობოქრობა, დაგზავნეს დელეგატები დიდ კრებებზე არჩეული რაიონიდან რაიონებში ბოლშევიზმის დროშის ქვეშ შესაერთებლად და საბოქმედოდ. დელეგატები გაიგზავნა კავკავშიც ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად, ერთი სიტყვით ამუშავდნენ აგენტები, გაიბა ქსელები და უფრო აშკარად მოიფეთქა. ... სათვის იარაღით წასულიყვნენ და რიალისაკენ და გზა გაეხსნათ ბოლშევიკებისათვის, რომელთაც იქ ებრძოდნენ „თავად-აზნაურობის ჯარი“. ამას ზედ დაერთო ხმები რომ წითელი გვარდია ხალხს იარაღს ჭურისო და ხალხიც ზედ-მეტად შეშფოთდა. სწორედ ამ დროს სოფ. ფასანაურში სასწრაფო ყრილობაზე დაახლოებით 60 კაცისგან შემდგარი რაზმის ნაწილები დაიფანტნენ გზის სხვა და სხვა „პოსტებზე“ მიმავალი გვარდიის საყარაულოდ. რითი გათავდა ინციდენტი. მთავრობამ გადასწყვიტა იარაღის აყრა და წინ არ წაუძღოლა შეიარაღებული პროპაგანდა დროებგრ, ანრა საჭირო იყო რადგან აქ ნაც.-დემ. და ფედერ. არაფერ შუაში იყვნენ. მენშევიკ პროპაგანდისტებს ხხოლოდ მათთან ულმობელი ბრძოლისათვის სცალიანთ, რომელთაც ხალხს ისე გამოუტენდეს ყურები თავიანთ თავის და მთელი ერის საბედისწეროდ თავად-აზნაურების და ბურჯუების პარტიებზე (ერ.-დ. და ფედ.), რომ იქაც კ მიიულეთში, სადაც თავად-აზნაური ... ბურჯუა თვალით არ უნახავთ და წარ... მოდგენაც-კი არა აქვთ, სულ ეს ... რიათ პირსა, ყველგან მაგ ჯარს ... მოქმედებას ხედავენ, ამიხეე მოუმზ... ნიადაგი უპასუხისმგებლო სიმ... ოს პროვოკატორებს თავიანთი ... ბისათვის, და ბოლოს მოწმენი ... ნით დუშეთის ანარქიისა რო... რაღებული ბრძო მთავრობა... ნობს, მის ჯარს ამარცხებს ... ნებს და ტყვიამფრქვეველ... და ასობით ტყვედაც მიპყავთ. ... ბა ძმათა სისხლი და ერის მთ... ბურ ჯი—გლეხობა ძალაუნებურად ... შობლოს და თავის მოდალატეთ გამ... დის. ალბა ჰკითხოს პასუხი, ვისაც პასუხი მოეკითხება.

ნ.

ახალციხის მაზრის აჯანყება

27 მარტს ამა 1918 წელს, ძვ... თარიღით, სადამოთი, გაიმართა ... ბალოშეთიდან კაცი ს. ზედათმო... და ამბავი გადმოგვიტანა: „მუშ... ბეგმა მაჩაბელმა შემოგვითვალათ ... ჩითო ორი კაცი და სჩქარიდ ჩე... გამოგზავნოთო“. მაშინვე მივეს... თუ რისთვის გვიბარებდა მუშტა-ბ... გი ს. შალოშეთში! უმალვე ვიგრძენ... ნეთ, რომ დიდად პატიოსანი ბეგი ... ქართველებისთვის კარგს ჰფიქრობდა. ... ეს ის ბეგია, რომელიც დიდხანს ... ნახადა ბრეულ და შეიარაღებულ თათ... რებისაგან ქართველებს. გავიფიქრეთ, ... სწორედ დღეს ვეღარ შეძლო თათა... რთა შეკავება და უნდა დაგვარიგოს, ... თუ ქართველობას რ... თავისთვის, საითკენ გა... იმ დამეს ვერვინ გ... რაიმე დარიგება მოგვ... ში გათენდა 28 მარ... ფლის გორებიდან ... სროლა, თოფმე შეარღვეულ... დიანები შემოსვ... ს. ზედა... გორებს და ჩ... ეტეგნათ ... ყარაულებმ... ... ხი. უნდა ... სხვერპლ... ... თი ყარაულ... და გორიდ... არიქმა, თა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელს შემოესიანა. საშინელი თოფების სროლაც გახურდა თათრებსა და ჩვენს ყარაულებს შორის. ამის გამგონე ხალხმა მიატოვა მთელი ცოლშვილი და ვისაც თოფის ადგება შეეძლო, ყველა გავიდნენ იმ გორისაკენ, სადაც სროლა ისმოდა. ამ დღეს დამარცხდნენ თათრები და უკან დაიხიეს. ამ სროლამ ისე თავზარი დასცა ყველას, რომ უნებურად მიატოვეს მთელი ასი წლობით ნაშენი და გაფდიდრებული ოჯახები, მრავალი ხორბლით, ცხვრით, ძროხით და ყოველივე მოწყობილობით, ყველა თავის გადასარჩენად გარბოდენ. უბედურობა ის იყო, რომ უგზო-უკვლოდ მიეშვნენ ისეთს საშინელ კლდიანი გზით, სადაც მშვიდობიან დროსაც ძლიერ სპირდა მიმოსვლა, ამისთანა უბედურ დროზე ხომ მით უმეტეს... ათას ორას სული, დიდი და პატარა გარბოდა ვიწრო გზით, ახტებოდენ ერმანეთს. ბევრს უცურდებოდათ ფეხი და პირდაპირ უფსკრულში ვარდებოდნენ. მაგალითად ფილიმონ კაველიძეს ცხენზე ეკიდნა ფქვილი საპალნეთ და თავის ცოლშვილთან ერთად გარბოდა, მივიდა კლდეებთან თუ არა, ცხენს ფეხი დაუცდა და უფსკრულში ჩაიდუპა. მეორე მაგალითი: ნიკო კაველიძეს ხარისთვის ეკიდნა ქვეშაგები და ხურჯინი. ხურჯინის თავალში პატარა ორი წლის გოგო ჩაესვა. სწორედ იმ ადგილს, საცა ცხენი გადავარდა, მივიდა თუ არა საპალნიანი ხარი, დაუცდა ფეხი და თავის საპალნით კლდეში გადავარდა და ჩაიდუპა. ტირილი მომივიდა და მოვაძახე შეშინებულ ხალხს: ნუ მირბიხართ, ნელა წადით, მტერი უკან გაბრუნდა-მეთქი. მაგრამ რადგან სროლა ესმოდათ, არ იშლიდნენ, ერთმანეთს თავს ახტებოდნენ და ისე გარბოდნენ... მტერმა გაიმარჯვა სიმრავლით. სადამოს 28 მარტს ყველა მცხოვრებნი გამოვედით ს. გოგაშენში და იქ ქართველებში დავბინავდით, ზოგი კარში, ზოგიც ვინ იცის სად. ჩვენი სოფლიდან კი ისევ სროლა ისმოდა. ამგვარად ჩვენმა სოფლის ვაჟკაცებმა მტერს სამი დღის განმავლობაში ფეხი არ შემოადგმევინეს, მაგრამ როდესაც პატრონა გამოელიათ [illegible] ზეული მოძმენი არსაიდან არ [illegible]ბენენ, ნელ-ნელა უკან დაიწიეს [illegible]ანაბარეს როგორც სოფელი, ისე [illegible]დიდრით სახელგანთქმული აქაური [illegible]ფასი ეკლესია, მე-10 და მე-11 [illegible]კუნეში აშენებული წმ. გიორგის [illegible]ლზე...

ა. ავალიანი.

ბევლია ხალხი, რომ დღისით თუ ჰხნავენ, სადამოთი მშიერ-მწყურვალი საქონელი ოფელში მოუდგეთ. ხალხი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი, თუ როგორ აიცდინოს თავიდგან ბოროტი ხელი, როდესაც თიბვა-მკაც მოტანებულია.

16-ს ივნისს როდესაც მანავის მცხოვრებთ მიუდიოდათ ცხვარი სამთოთ, თათართა ბრბო ოცდა ათი კაცისაგან შემდგარი, ვაზიანის მახლობლად თავს დაესხნენ მწყემსებს და დაუწყეს სროლა. სროლამ გასტანა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდის. გზაში გამგელელ-გამომგელელთაც აჩერებდნენ და ყველას ერთად უყრიდნენ თავს, რომ აღბავი არსად გაეტანათ, სროლაში მოჰკლეს სართიჟალაში მცხოვრებული ვასო რაზმაძე, ჩამოართვეს თოფი და გაძარცვეს, აგრედვე სასიკეთოდ დასჭრეს მწყემსები— მანავში მცხოვრებელნი ბ. გიუაშვილი, ვ. დაბალიშვილი და წაიღეს იმათი თოფები, ცამეტი წლის ბავშვიც კი აღარ დაინდეს და საშინელი ჭრილობა მიაყენეს პატარა დ. სამნაშვილს, ბევრ მგზავრთაგანს ფეხთაც კი დაჰხადეს, წაართვეს ხარები, ცხენები, ფული და რაც რამ გააჩნდათ, ამ შემთხვევის დროს მოსდგომიან თბილისიდან მომავალი ძძის საზიდავი ავტომობილი რომელშიაც მსხდარან ნემცები. ყაჩაღებს ესენიც გაუჩერებიათ, წაურთმევიათ ას თერთმეტი თუმანი ფული, მაგრამ უკანვე დაუბრუნებიათ, რადგან დარწმუნებულან, რომ ისინი ნემცები არიან, ერთ ყაჩაღთაგანს უთქვამს კიდეც, ჩვენ ნემცებთან საქმე არა გვაქვს, მარტო ქართველებს ვ'დევნითო, ეს იმითაც მტკიცდება, რომ იმ დროს ათი ურემი თათრებისაც ყოფილან, მაგრამ ყაჩაღებს მათთვის ხმაც არ გაუცია. როგორცა